სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030665141883721

18 / იანვარი / 2021 წ. **თბილისი #06-7/ო**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის -ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2021 წლის საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების შესახებ

“საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის “დ” ქვეპუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, “საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის N107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ და „ო“ ქვეპუნქტების და სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2020 წლის 05 იანვრის #06/11 წერილზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ეკატერინე ტიკარაძის 2021 წლის 18 იანვრის #01-15/ო ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2021 წლის საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი, თანდართ დანართის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2020 წლის საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2020 წლის 31 ივლისის #06-155/ო ბრძანება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2021 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე